ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2.9.14/10/4

ქ. თბილისი 05 აპრილი 2013 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა, წარმოდგენილი გამგებლის მ/შ ჰენრი დოლიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ჯორჯიან მონოლითი" (შემდგომში „მიმწოდებელი")დირექტორის რაულ მაისურაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

ხელშეკრულების საგანია **ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავის ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოების** შესყიდვა (CPV 45200000) **შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №18,** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2**შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 51 747.38 (ორმოცდათერთმეტი ათას შვიდასორმოცდაშვიდი ლარი და 38 თეთრი) ლარს,** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
4.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.3. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;
4.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

4.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

4.6. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. ტექნიკური პირობები (სამუშაოს მოცულობები და ხარჯთაღრიცხვა)

5.1 ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №18 სახლის ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული სახურავის ჰიდროიზოლაციის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის აღწერა მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი ერთი ფურცელი).

6. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

6.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში – აკაკი კობალაძე, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მ/შ – კოტე დიხამინჯია და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტი –გიორგი ერისთავი.

7.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8.ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარისსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდეს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

9. ფასები

9.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
10.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.
12.2ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

14.2 შემსყიდველი ვალდებულია:

14.2.1დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.2.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

14.2.3ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14.2.4წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

14.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

14.3.2 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

14.3.3ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

14.3.4საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

14.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

14.4.1დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.4.2სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

14.4.3სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

14.4.4სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

14.4.5მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.4.6მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

14.4.8 სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი)

გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

14.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

14.5.1მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება თუ მიმწოდებელი:

ა) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;'

ბ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს,

გ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შემსყიდველის მიერ გათვალისწინებული კონკრეტულ მისამართზე (გეგმა-გრაფიკით) გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო შესყიდვის კონკრეტულ მისამართზე (გეგმა-გრაფიკით) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

15.3. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ მისამართზე (გეგმა-გრაფიკით) ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს კონკრეტულ მისამართზე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.4 თუ მიმწოდებლის მიერ გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადის დარღვევა გამოწვეული არის შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებისათვის აუცილებელი დროის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული წინამდებარე ხელშეკრულების 15.2; და 15.3 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

15.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.6. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.7საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

16.1შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
16.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ფორს-მაჟორი

17.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
17.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
17.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
17.4თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
18.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. შეტყობინება

19.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
19.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 ხელშეკრულება მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 10 მაისამდე.

22. სხვა პირობები

22.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
22.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
22.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
22.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
22.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობა	შპს „ჯორჯიან მონოლითი“
მის: ქ. თბილისი თამარაშვილის ქ. №10ა	მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №51 ბ.19
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: BAGAGE22
ა/ა№ GE95LB0125152101627000	ა/ა№ GE39BG0000000347438200
ს/კოდი: 204872539	ს/კოდი: 400021490
გამგებლის მ/შ	ხელმძღვანელი
ჰ. დოლიძე	რ. მაისურაძე

სახურავის ჰიდროიზოლაციის მოწყობის
სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

დამკვეთი: ვაკის რაიონის გამგეობა

შემსრულებელი: შპს „ჯორჯიან მონოლითი"

მისამართი: ქ. თბილისი ჯიქიას ქ. №18

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ხელფასი		მასალა		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.	ჯამი	ერთ.	ჯამი	ერთ.	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	არსებული დაზიანებული საიზოლაციო ზედა ფენის მოხსნა	კვ.მ	1812,00	0,60	1087,20		0,00		0,00	1087,20
3	ჰიდროიზოლაციის მოწყობა (2 ფენა)	კვ.მ	3624,00	2,50	9060,00		0,00		0,00	9060,00
5	საიზოლაციო მასალა ბიკროსტი	კვ.მ	4170,00		0,00	5,50	22935,00	0,06	250,20	23185,20
6	გაზი	კგ	780,00		0,00	3,07	2394,60	0,10	78,00	2472,60
	საიზოლაციო მასალების ვერტიკალური ზიდვა ხელით	რულ	417,00	1,75	729,75		0,00		0,00	729,75
4	სახურავიდან მოხსნილი ნაგავის (დაზიანებული საიზოლაციო ფენა) ჩამოტანა და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	კუბ.მ	9,97	25,00	249,15		0,00		0,00	249,15
	დატვირთული ნაგვის გატანა	რეისი	2,00		0,00		0,00	65,00	130,00	130,00
	ჯამი				11126,10		25329,60		458,20	36913,9
	ზედნადები ხარჯები	10%								3691,4
	ჯამი									40605,3
	გეგმიური დაგროვება	8%								3248,4
	ჯამი									43853,7
	დღგ	18%								7893,7
	სულ ჯამი									51 747,38

შპს „ჯორჯიან მონოლითი"ს დირექტორი

„ჯორჯიან მონოლითი" LTD 400021490 GEORGIAN MONOLITI LTD

რ. მაისურაძე